



2020 წელს COVID-19 პანდემიამ, რომელმაც გამოიწვია გლობალური ჯანდაცვისა და ეკონომიკური კრიზისები, დაარღვია მსოფლიო წესრიგი. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალდა თითქმის ყველა ქვეყანა და სექტორი, ყველაზე მეტად დაზარალებული აღმოჩნდა მომსახურების სექტორი, და შესაბამისად, ტურიზმზე დამოკიდებული ქვეყნები, როგორცაა საქართველო. ვირუსის გავრცელების შედეგების მიღებულმა შეზღუდვებმა დამატებითი ნეგატიური გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე. წინასწარი შეფასებით, 2020 წელს საქართველოს რეალური მშპ-ს შემცირებამ -6.1% შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი ვარდნაა 1994 წლის შემდეგ. საერთაშორისო მოგზაურობის გარდა, საიდანაც მიღებული შემოსავალი 2020 წელს 81%-ით შემცირდა, საგარეო ვაჭრობაც მნიშვნელოვნად დაზარალდა. ვაჭრობის ბრუნვა შემცირდა 15%-ით, ხოლო ექსპორტი და იმპორტი 12%-ით და 16%-ით, შესაბამისად. გასაკვირი არ არის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობაც მნიშვნელოვნად შემცირდა - 2020 წლის პირველ სამ კვარტალში, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 24%-იანი ვარდნა დაფიქსირდა. საქართველოს 2020 წელს, ასევე, ჰქონდა მიმდინარე ანგარიშისა და ბიუჯეტის მაღალი დეფიციტი (9.7% და 9.1%, შესაბამისად) და მისი ვალის ფარდობა მშპ-ს მიმართ 59.9%-მდე გაიზარდა. ამ ყველაფრის გარდა, ქართული ლარი წლის დასაწყისიდან წლის ბოლომდე დაახლოებით 13%-ით გაუფასურდა. მეორე მხრივ, 2020 წელს ფულადი გზავნილების შემოდინებები 9%-ით გაიზარდა და ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობა შენარჩუნდა. საერთო ჯამში, საქართველო 2021 წლის დასაწყისს ღრმა კრიზისში შეხვდა, ხოლო COVID-თან დაკავშირებული შეზღუდვების ნაწილი კვლავ ძალაშია. ამ გამოცემაში წარმოგიდგინებთ 2021 წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდის, კერძოდ, მშპ-ს რეალური ზრდის ტემპის, კონკრეტული სექტორების ზრდის, და დასაქმების მაჩვენებლების პროგნოზებს.

სცენარები და პროგნოზები

პანდემიის გამო გაურკვევლობის დონე საკმაოდ მაღალია, რაც ეკონომიკური ზრდის ზუსტ პროგნოზირებას თითქმის შეუძლებელს ხდის. ამჯერად, გაურკვევლობა უმეტესწილად მომდინარეობს გაურკვეველი ვაქცინაციის გრაფიკიდან, რაც გავლენას ახდენს ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა ვირუსის გავრცელების დინამიკა, შეზღუდვების მესამეტაღლის აღბათობა და საერთაშორისო მოგზაურობის აღდგენა. სხვა ფაქტორები მოიცავს წარმოებისა და მომხმარებლების ქცევის ცვლილებას, და საქართველოში არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის შენარჩუნებას. გაურკვევლობით აიხსნება მნიშვნელოვანი განსხვავებები ქართული და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ გამოქვეყნებულ სხვადასხვა პროგნოზებში. საქართველოში 2021 წლის მშპ-ს რეალური ზრდის ტემპის საბაზისო სცენარის პროგნოზები 3.5%-დან 5.0%-დე მერყეობს.

PMC კვლევითმა ცენტრმა შეიმუშავა კრიზისის განვითარების სამი შესაძლო სცენარი, რომელთაგან თითოეული შეესაბამება მოვლენების განსხვავებულ განვითარებას.


საბაზისო სცენარში მოიაზრება, რომ ეკონომიკა დიდწილად მოახერხებს დაუბრუნდეს ზრდის პანდემიამდელ, გრძელვადიან ტემპებს, თუმცა, პანდემიის გავლენა ჯერ კიდევ საგრძნობია. ეს სცენარი არ ითვალისწინებს შემდგომი ლოქდაუნის საჭიროებას, ითვალისწინებს ვაქცინაციის ვადებს, რომელიც შეესაბამება ამჟამინდელ გეგმას, და ასევე, მოიაზრებს ზაფხულის სემონზე ტურიზმის ზომიერ აღდგენას.

ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, ეკონომიკური აქტივობა პანდემიამდელ ზრდის ტემპებთან შედარებით უფრო სწრაფად მოახერხებს აღდგენას. ეს სცენარი მოიაზრებს შესაძლო პოზიტიურ მოვლენებს, როგორცაა დაჩქარებული ვაქცინაცია გლობალური და ადგილობრივი მასშტაბით, რომელიც შესაბამისად ხელს შეუწყობს ტურიზმის სექტორის მოსალოდნელზე მეტად აღდგენას.

პესიმიტური სცენარის შემთხვევაში, ეკონომიკური აქტივობა მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხებს პანდემიამდელი ზრდის ტემპის აღდგენას. ეს სცენარი გულისხმობს უარყოფით მოვლენებს, მაგალითად, გლობალური და ადგილობრივი ვაქცინაციის დაგვიანებას, რაც უარყოფითად იმოქმედებს ტურიზმის სექტორის მოსალოდნელ აღდგენაზე. სცენარი, ასევე, ითვალისწინებს ვირუსის მესამე ტალღის შესაძლებლობას და შეზღუდვების შემდგომ გამკაცრებას.

განხილული სამი სცენარის მიხედვით საქართველოს ეკონომიკის თითოეულ სექტორზე ეფექტის გათვალისწინებით, შესაძლებელია 2021 წელს საქართველოს ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზირება. საბაზისო სცენარის შემთხვევაში, საქართველოს რეალური ეკონომიკა 3.0%-ით გაიზარდება. ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკა 5.4%-ით გაიზარდება, ხოლო პესიმიტური სცენარის შემთხვევაში მოსალოდნელი ზრდა 0.3%-ია.

2021 წელს მშპ-ს რეალური წლიური ზრდა, სცენარების მიხედვით



წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები


მშპ-ს პროგნოზები სექტორების მიხედვით

2021 წლის სავარაუდო სცენარების საფუძველზე, გააანალიზეთ მშპ სექტორალურ ჯრილში, და თითოეული სექტორისთვის ჩვენი პროგნოზები 2019 წლის მაჩვენებელს შევადარეთ. პროგნოზების გარდა, შემდეგი გრაფიკები, ასევე, შეიცავს ტრენდის მნიშვნელობებს³, რომლებიც თითოეულ შერჩეულ სექტორში შეესაბამება 2020 და 2021 წლების მშპ-ს მაჩვენებელს 2019-თან შედარებით, რომელიც სექტორს ექნებოდა პანდემიასთან დაკავშირებული შოკის არარსებობის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ რამდენიმე სექტორმა მოახერხა 2020 წელს ტრენდთან შედარებით ოდნავ მაღალი ზრდის ტემპი დაეფიქსირებინა. მათ შორისაა, სოფლის მეურნეობა, წარმოება და სახელმწიფო ადმინისტრაცია. ყველა სხვა სექტორში ან მნიშვნელოვანი ვარდნა, ან ტენდენციასთან შედარებით უარესი მაჩვენებელი დაფიქსირდა.


განთავსებისა და კვების ობიექტების სექტორი ყველაზე მეტად დაზარალდა. 2020 წელს მისი მშპ დაეცა 2019 წლის დონის 64%-მდე. საბაზისო სცენარის შემთხვევაში, სექტორი 2021 წელს თავისი 2019 წლის დონის 82%-ს დაიბრუნებს, ხოლო პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი იქნება 75% და 89%, შესაბამისად.

საბითუმო და საცალო ვაჭრობა, და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, საქართველოს ეკონომიკის ორი ყველაზე მასშტაბური სექტორია, რომლებმაც 2019 წელს მთლიანი მშპ-ს 24% შეადგინეს. 2021 წელს ვაჭრობის აღდგენა მოსალოდნელია საშივე სცენარში - 2020 წელს დაფიქსირებული 93%-დან (2019-ის დონესთან შედარებით) 96%-მდე საბაზისო სცენარის შემთხვევაში. თუმცა, სექტორი ვერ დაუბრუნდება 2019 წლის დონეს ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაშიც კი (98%). რაც შეეხება უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, სექტორი შედარებით ნაკლებად შემცირდა 2020 წელს (მხოლოდ 2%-ით შემცირება 2019 წელთან შედარებით), რაშიც დიდი წვლილი შეიტანა სექტორის მხარდასაჭერად შექმნილმა იპოთეკური სესხების სუბსიდირების პროგრამამ, რომელიც 2020 წლის დეკემბერში დასრულდა. სავარაუდოა, რომ პროგრამის გამო, 2021 წელს უძრავ ქონებაზე მოთხოვნის მნიშვნელოვანმა ნაწილმა 2020 წელში გადაინაცვლა, რის გამოც ველით, რომ საბაზისო და პესიმისტურ სცენარებში, უძრავი ქონების სექტორის მშპ 2021 წელს კვლავ შემცირდება და გაუტოლდება 2019 წლის დონის 97%-ს და 96%-ს, შესაბამისად, ხოლო ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში სექტორი შეინარჩუნებს 2020 წლის დონეს.


განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (2019=100%)



საბითუმო და საცალო ვაჭრობა (2019=100%)



უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (2019=100%)




წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

დასაქმება და უმუშევრობის დონე

საქსტატის მიერ დასაქმების მეთოდოლოგიის განახლების შედეგად, 2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ 1.242 მილიონი შეადგინა, რაც 54,000-ით (ანუ 4.2%-ით) ნაკლებია, ვიდრე 2019 წელს. 2021 წლისთვის, პესიმისტური სცენარით პროგნოზირებულია, 2019 წელთან შედარებით, დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 5.7%-ით დაბალი მაჩვენებელი (1.223 მილიონი ადამიანი), საბაზისო სცენარით დასაქმებულთა რაოდენობა 3,2%-ით ნაკლები იქნება 2019 წელთან შედარებით (1.254 მილიონი ადამიანი), ხოლო ოპტიმისტური სცენარით 1.2%-ით ნაკლები (1.281 მილიონი ადამიანი).

რაც შეეხება 2020 წლის უმუშევრობის დონეს, მან 2020 წლის მეოთხე კვარტალში 20,4%-ს მიაღწია, ხოლო მთელი წლის განმავლობაში საშუალოდ 18.5% შეადგინა, რაც 0,9 პროცენტული პუნქტით მეტია ვიდრე 2019 წლის მაჩვენებელი. 2021 წლისთვის პესიმისტური სცენარით მოსალოდნელია უმუშევრობის მაჩვენებლის 18.8%-მდე გაზრდა, საბაზისო სცენარისთვის მოსალოდნელია უმუშევრობის დონის 18.3%-იანი მაჩვენებელი, ხოლო ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში - 17.9%. აღსანიშნავია, რომ ოპტიმისტური სცენარის პირობებშიც კი, უმუშევრობის დონე 2019 წლის მაჩვენებელზე მაღალ დონეზე შენარჩუნდება.

მოსალოდნელი საშუალო უმუშევრობის დონე 2021 წელს



წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

მაშინაც კი, თუ მოვლენები ოპტიმისტური სცენარით განვითარდება, საქართველოს ეკონომიკა 2021 წელს სრულად ვერ დაუბრუნდება პანდემიამდელ დონეს. პოტენციური უარყოფითი რისკების გათვალისწინებით, ეს სცენარი ყველაზე ნაკლებად სავარაუდოა სამი განხილული სცენარიდან, ამრიგად, 2021 წელი, სავარაუდოდ, არაორდინალური ეკონომიკური აღდგენის წელი არ იქნება. ამის ნაცვლად, წელს საქართველო უნდა ფოკუსირდეს ჯანდაცვის კრიზისის მოგვარებაზე, მონყვალადი ოჯახებისა და ბიზნესების მხარდაჭერასა და რაც მთავარია, მომდევნო წლებში ეკონომიკის სწრაფი აღდგენასა და ტრანსფორმაციისთვის საფუძველის მომზადებაზე.

1 დაშვებები ეკონომიკური სექტორების ზრდის შესახებ შემუშავდა 2020 წლის Q2 და Q3 ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე.
 2 დაშვება: მშპ-ს ზრდის რეალური ტემპი 2020 და 2021 წლებში, პანდემიის არარსებობის შემთხვევაში, ტოლი იქნებოდა რეალური ზრდის ტემპის ტენდენციისა 2011-2019 წლების პერიოდის განმავლობაში. ანალოგიური დაშვება მოქმედებს სექტორული ზრდის ტემპებისთვის.
 3 2020 და 2021 წლების შოკის გარეშე მაჩვენებლები ემყარება 2011-2019 წლების ტენდენციას.
 4 2020 წლის მაჩვენებლები შეფასებულია სამი კვარტლის ფაქტობრივი მონაცემებზე და ნლოური ზრდის ტემპზე (-6.1%) დაყრდნობით.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2016	2017	2018	2019	2020
ნომინალური მშპ (მლნ. აშშ დოლარი)	15 141.7	16 248.5	17 596.6	17 470.7	-
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 062.1	4 358.5	4 722.0	4 696.2	-
მშპ რეალური ზრდა (%)	2.9%	4.8%	4.8%	5.0%	-6.1%*
ინფლაცია	2.1%	6.0%	2.6%	4.9%	5.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 652.6	1 978.3	1 306.3	1 310.8	-
უმუშევრობის დონე (%)	21.7%	21.6%	19.2%	17.6%	18.5%
სახელმწიფო სავარყო ვალე (მლნ აშშ დოლარი)	4 516	5 177	5 434	5 741	7 535
სიღარიბის დონე (ფარდობით)	21.0%	22.3%	20.5%	20.1%	-

წინასწარი მონაცემები*